ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3539734

ნომერი: AR1537379

თარიღი : 05.09.2017

გაცემის თარიღი : 19.09.2017

გაცნობის თარიღი : 19.09.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ისააკიანი , (ნაკვ. 01/008) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რამინ ობოლაძე პ/ნ 60002008594
- თბილისი,სანზონა კორ. 3 ა.ბ. 9

ორგანიზაცია:

- შპს "სალი" კოდი: 400066067

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 აგვისტოს №3461819 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 05 სექტემბრის №AR1537379 განცხადებით მომართა მოქ. რამინ ობოლაძემ და მოითხოვა სამსახურის 2017 წლის 17 აგვისტოს №3461819 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 აგვისტოს №3461819 ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 მაისის №3275263 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლი.
ასევე ირკვევა, რომ სამსახურის 2017 წლის 30 მაისის №3275263 ბრძანებით დამტკიცდა ქ.თბილისში ისააკიანის ქუჩაზე, N01/008 ნაკვეთზე, საწყობის განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
განმცხადებლის განმარტებით, ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: 2017 წლის 17 აგვისტოს №3461819 ბრძანებით ცვლილება უნდა განხორციელებულიყო მშენებლობის სახეობაში.
სამსახურმა 2017 წლის 05 სექტემბრის №AR1537379 განცხადებით წარმოდგენილი მოთხოვნა შეადარა სამსახურის 2017 წლის 30 მაისის №3275263 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებს და სამსახურის 2017 წლის 17 აგვისტოს №3461819 ბრძანებით შეტანილ ცვლილებას და დაადგინა, რომ 2017 წლის 10 ივლისის №AR1521214 განცხადებით მოთხოვნილ იყო, მიწის ნაკვეთის სამშენბლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება, კერძოდ მშენებლობის სახეობის ცვლილება. შესაბამისად, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მოთხოვნის დაკმაყოფილება და 2017 წლის 17 აგვისტოს №3461819 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 აგვისტოს №3461819 ბრძანებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: ამავე ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: ,,1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 30 მაისის №3275263 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და მშენებლობის სახეობად დაფიქსირდეს: ახალი მშენებლობა.''

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 აგვისტოს №3461819 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.

3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ -ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 17 აგვისტოს №3461819 და 2017 წლის 30 მაისის №3275263 ბრძანებებთან ერთად.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.